



შირაკი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№34 (9.894)
14 - 21 სექტემბერი 2019 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

გიორგი გახარიამ ვიცე-პრემიერები დაასახელა



მედლინ მუნი -
მადლობას ვუხდით
დათა ვანიშვილს
სიმამაცისთვის, რომ
მოვიდა და აგვიხსნა,
აქ როგორი უღმობელი
და არაადამიანური
პირობებია **გვ. 2**

როგორ უნდა იკვებებოდეს მოსწავლე?



მერიის მორიგი საქველმოქმედო აქცია



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია საქველმოქმედო აქციებს აგრძელებს. ამჯერად მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის წარმომადგენელთან, ვანო ბენაშვილთან ერთად ოზაანში მცხოვრები ტრისტან და ქეთევან ქურხულიშვილების ოჯახი მოინახულა.

მერმა და მერიის წარმომადგენელმა სოციალურად დაუცველ ოჯახს მედიკამენტები და საკვები პროდუქტები მიუტანეს, პრობლემებს ადგილზე გაეცნენ და მათ მოგვარებას შეპირდნენ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, მერია სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე ზრუნვას მომავალშიც გააგრძელებს.

დავითის უნიკალური მონეტა საქართველოში ჩამოიტანეს

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში პირველად გამოიფინება დავით აღმაშენებლის მონეტა, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში არის დაცული. ეროვნული მუზეუმის განცხადებით, ეს მონეტა დავითის მოჭრილ მონეტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან მისი წარწერა

ასახავს XI-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ხაზს.



რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა

გასული დღე-ღამის განმავლობაში, კახეთის რეგიონში 40-მდე ღვინის საწარმომ 6 ათასამდე ტონა ყურძენი გადაამუშავა. ეს არის მიმდინარე რთველის სეზონის პიკური დღელამური გადაამუშავების მაჩვენებელი, რაც მიანიშნებს რომ რთველი კახეთში აქტიურ ფაზაში შევიდა.



გიორგი გახარია გუბერნატორებს თქვენი ძირითადი ამოცანაა პრობლემების მოგვარება და არა პრობლემების შექმნა



რეგიონებში, ჩვენი მოქალაქეებისთვის მთავრობის განსახიერება არის ის ჩინოვნიკი, რომელიც მათ პრობლემებს ან აგვარებს, ან — ვერა და ამ მიმართულებით გუბერნატორების პასუხისმგებლობა სრულად პერსონალიზებული იქნება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ სახელმწიფო რწმუნებულებთან შეხვედრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა პრობლემების მოკლე ვადებში მოგვარების აუცილებლობას და გუბერნატორებს დროში განერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმის უახლოეს პერიოდში წარმოდგენა დაავალა.

„აუცილებელია, ვიმოქმედო სწრაფად, ეფექტიანად და რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა იყოს გამყარებული კეთილსინდისიერი ქმედებით. არავის აქვს იმის რესურსი, რომ კიდევ დიდხანს გველოდოს. ამიტომ, განსაკუთრებით თქვენს შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სრულად პერსონალიზებული იქნება.“

უახლოეს დღეებში უნდა განსაზღვროთ რეგიონებში არსებული სისტემური პრობლემების სტატუსი და წარმოადგინოთ კონკრეტული გაპრობლემებული საქმეები, შემდგომ კი — პირდაპირი, დროში განერილი გეგმა და კონკრეტული პასუხისმგებლობები. თქვენი ძირითადი ამოცანაა პრობლემების მოგვარება და არა — პრობლემების შექმნა“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა გუბერნატორებს.

მთავრობის მეთაურისა და რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

გიორგი გახარიამ ვიცე-პრემიერები დაასახელა

ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ვიცე-პრემიერები იქნებიან - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, განახლებული მთავრობის პირველ სხდომაზე განაცხადა. მან ასევე წარმატება უსურვა ირაკლი ლარიბაშვილსა და ვახტანგ გომელაურს, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდნენ.

ამასთან, როგორც ახლადარჩეულმა პრემიერმა აღნიშნა, მთავრობის სხდომები ყოველ ხუთშაბათს, 10:00 საათზე გაიმართება.

ტურისტული პოტენციალის გაზრდისთვის

12 სექტემბერს, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO)- „ვიზით კახეთი“-ს ხელმძღვანელმა, თინათინ ხანჯალიაშვილმა სამხარეო ადმინისტრაციაში, სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ: კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული, ირაკლი ქადაგიშვილი და კახეთის რეგიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების საკრებულოს თავმჯდომარეები და მერები. დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია კახეთის რეგიონში აქტიურად შეუდგა მუშაობას. DMO- ეს არის საჯარო და კერძო სექტორის ნაყოფიერი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა. ორგანიზაციის მიზანს რეგიონის მასშტაბით, ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მარშრუტების შექმნა/აღმოჩენა, მათი პრომოუშენი და პოპულარიზება წარმოადგენს. შეხვედრაზე ინდივიდუალურად განიხილეს კახეთის თითოეულ მუნიციპალიტეტში ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, განსახორციელებელი პროექტები. სამოქმედო გეგმის წარდგენისას, კიდევ ერთხელ, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ რეგიონი, სადაც არსებობს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია, ინვესტიციების თვალში ნდობის მაღალი კოეფიციენტი სარგებლობს.

მედლინ მუნი - მადლობას გუხდით დათა ვანიშვილს სიმამაცისთვის, რომ მოვიდა და აგვიხსნა, აქ როგორი უღმობელი და არაადამიანური პირობებია

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი მედლინ მუნი დღეს ხურვალეთში, საოკუპაციო ხაზთან ჩავიდა.

მედლინ მუნს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადგილზე არსებული ვითარება გააცნეს. ასევე მიანოდეს ინფორმაცია საოკუპაციო ხაზის სხვა მონაკვეთების შესახებ. მათ შორის საუბარი შეეხო სოფლებში გუგუტინთკარსა და ჩორჩანაში განვითარებულ მოვლენებს.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილ დათა ვანიშვილსაც გაესაუბრა, ასევე მას სიმამაცისთვის მადლობა გადაუხადა.

„საპარლამენტო ასამბლეა მოვიდა აქ, საოკუპაციო ხაზთან, რომ ნახოს რა პრობლემები აქვთ იმ ხალხს, რომლებიც ერთ დროს საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და მეორე დღეს გაიღვიძეს და ეს მოქალაქეობა წართმეული ჰქონდათ.“

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ თავად მოვისმინეთ ამ ადამიანის საუბარი და მადლობას გუხდით სიმამაცისთვის, რომ მოვიდა და აგვიხსნა ყველაფერი, ის სირთულეები, რის წინაშეც დგას, რა უღმობელი და არაადამიანური პირობებია აქ, სადაც ადამიანებს საკუთარი მიწები ჩამოართვეს. ჩვენი საქმეა, რომ დავაკვირდეთ აქ მიმდინარე პროცესებს, დავსვათ კითხვები და გავიტანოთ ამ ადამიანის საუბარი ჩვენს შემდგომ შეხვედრაზე ლონდონში. ჩვენ ამას გავაკეთებთ. მე გპირდებით, ჩვენ არ დაგვინტერესებს ანგარიშს და ეს იქ არ დამთავრდება, არამედ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია, რომ აქ მიმდინარე პროცესები უფრო ფართო საზოგადოებისთვის გახდეს გასაგებები. ეს პრობლემა, სირთულეები და სისასტიკე, ეს ყველაფერი არ არის მთავრობებს შორის, არამედ ის ადამიანები აწყდებიან, რომლებიც პატიოსნად, მშვიდად ცხოვრობენ“, — განაცხადა საქართველოში ვიზიტით მყოფმა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა.

ხაზარაძე და მისი სიმბოლოები

ანაკლია და ყვითელი დაფა ლურჯი ზღვის ფონზე

„თიბისი ჯგუფის“ დამფუძნებელმა პოლიტიკურ მოედანზე გადასვლის შესახებ პირველად საჯაროდ 2 თვის წინ განაცხადა, მაშინ როდესაც პროკურატურას მის წინააღმდეგ გამოძიება ფულის გათვრების მუხლით უკვე დაწყებული ჰქონდა. ამ საქმეს თავად მამუკა ხაზარაძე მთავრობის მხრიდან ანაკლიის პორტის მშენებლობის ჩაშლის მცდელობას უკავშირებს.

12 სექტემბერს 12 საათზე მან ანაკლიის სანაპიროზე თბილისიდან ჩაყვანილი 90-მდე თანამებრძოლი შეკრიბა, გალაკტიონის „მშობლიურ ჩემო მიწავ“, ლექსის პირველი სტროფის ნაწილი წაიკითხა და ყვითელ დაფაზე ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის სახელი დაწერა - „ლელო“. ეს მისი 20 წუთიანი პრეზენტაციის დასასრულს მოხდა.

დადებს თუა არა მამუკა ხაზარაძე პოლიტიკურ ლელოს 2020 წელს? ბანკირმა 12 სექტემბერს საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელო“ დააფუძნა და პირველი სამამადალი პოლიტიკური განცხადებებიც გააკეთა. ხაზარაძის მთავარი რეპლიკა, რაც მან ჟურნალისტებთან განაცხადა, იყო, რომ საქართველოში „ერთი კაცის მმართველობა უნდა დასრულდეს“. რა ვიცით ხაზარაძე-ჯაფარიძის საზოგადოებრივი მოძრაობის შესახებ და რა პერსპექტივები შეიძლება მათ 2020 წლს არჩევნებისთვის ჰქონდეთ? მითუმეტეს იმ ფონზე, რომ ხაზარაძე არ აპირებს არცერთ პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობას და არც პოლიტიკოსების მის გუნდში მიწვევას. ამის გამო ის უკვე გახდა როგორც „ნაციონალური მოძრაობის“, ასევე „ქართული ოცნების“ კრიტიკის მთავარი სამიზნე.

ხაზარაძემ ანაკლიაში გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ მისი მოძრაობა ოქტომბერში პოლიტიკურ პარტიად გადაიქცევა. მისი მიზანი იქნება 2020 არჩევნების მოგება. მოძრაობის ვექტორი არის დასავლეთისკენ. მართვის

სტილი იქნება ჰორიზონტალური - აქცენტით გუნდურობაზე. ხოლო ყველა სფეროდან 12 ლიდერს შემოიკრებს - მოძრაობაში განვითარებული იქნებიან ისინი, ვინც სხვადასხვა დარგში წარმატებას უკვე მიაღწია. ხაზარაძემ თავისი გამოსვლის დასასრულს რამდენჯერმე ახსენა პორტის მშენებლობა, თუმცა ამჯერად ანაკლია მისი გამოსვლის ფონი იყო და არა ფოკუსი. თუმცა საჯაროდ დოდა, მისი ბრძოლის ერთ-ერთი ბერკეტი ანაკლიის პორტი იქნება.

მან ასევე ისაუბრა იმაზე, რომ ქვეყნის მშენებლობაში ის ადამიანები უნდა იყვნენ ჩართული, ვინც „წარმატების ფორმულა“ იციან და უკვე აქვთ მიღწევები სხვადასხვა სფეროში. მისი თქმით, დიდი პოტენციალია ემიგრანტებს შორისაც. მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ ის პოლიტიკაში ბიზნეს მენეჯმენტში აპრობირებული პორიზონტალურ სტრუქტურას ირჩევს, რომელიც გუნდურ მუშაობაზეა ორიენტირებული. მისი გუნდის შემადგენლობა კი მას გამოსვლისას არ დაუსახელებია. თავიდანვე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა წინასწარ გამოცხადებული მოძრაობის ნევრების ვინაობა, თუმცა, ყველა სახელი კვლავ უცნობია. ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე ამბობენ, რომ მათი ვინაობა ცნობილი ნელ-ნელა გახდება. მათ გან დადასტურებულია მხოლოდ შემდეგი ადამიანების ვინაობა, რომლებიც მოძრაობის ნევრები გახდნენ: თეონა დოლენჯაშვილი - მწერალი, ანაკლიის განვითარების კონსორციუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; კახა კოჭორიძე - ადვოკატი. ექს-პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მრჩეველი; ანა ნაცვლიშვილი - იურისტი, ექს-პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო მდივანი; ქეთი მატაბელი - მხატვარი; მაია ჩიკვაძე - მხატვარი; საბა ბუაძე - იურისტი.

ხაზარაძის სიტყვას და მის განცხადებებს პოლიტიკური შეფასებები უკვე

მოჰყვა. ყურადღებამისაცქეცია ის ფაქტი, რომ ხაზარაძე „ნაციონალურმა“ და „ოცნებამაც“ ერთნაირად გააკრიტიკა. ექსპერტები აცხადებენ, რომ ორივე პარტიის დარტმის მთავარი ობიექტი,სავარაუდოდ, მამუკა ხაზარაძე იქნება. ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ გაუჭირდება შეაფასოს რა იქნება იმ ადამიანების პოლიტიკური მომავალი, რომლებმაც კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულეს. „ამ ადამიანს ამ ვალდებულების შესრულება უფრო მართალს გახდება. ვალდებულებების შეუსრულებლობის ფონზე იგივე ადგილიდან მოძრაობის დაანონსება საზოგადოების მიერ რამდენად სერიოზულად აღიქმება, ეს საზოგადოების გადასწყვეტია. თუმცა, თუკი ადამიანს ან პირთა ჯგუფს პოლიტიკური ამბიციები უჩნდება, ჯობია ის ვალდებულებები ჰქონდეს შესრულებული, რაც თავის თავზე აიღო“, - განაცხადა ჟურნალისტებს მწინარაძემ. „ლელოს“ პრეზენტაციას საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ფეიბსუკ“ პოსტით გამოეხმაურა. „ცალი თვლით შევხედე მამუკა ხაზარაძის პრეზენტაციას ანაკლიაში, ლაზიკაში და ვნახე ამ კრიალოსნიანი ბიჭების შეკრება და მოთქმა იმაზე, რომ ერთი და იგივე წრეზე დავდივართ 30 წელი და უნდა გავარდეთ. თურმე ხაზარაძემ და ამ კრიალოსნიანმა ბიჭებმა, თეთრფართხუნა ტანსაცმელში ჩაცმულებმა, უნდა გაარღვიონ ეს წრე. ანაკლიის პორტი იგივე ლაზიკის პორტი, უკვე დამთავრებული იქნებოდა, თუ არა ხაზარაძე და ის შანტრაბა, რომელმაც მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს 2012 წელს“, - წერს სააკაშვილი.

ექსპერტი გია ხუბაშვილი ხაზარაძის ახალ მოძრაობას აფასებს და ამბობს, რომ მისი ნაბიჯები პოლიტიკურად კარგად არის გააზრებული, თუმცა ფიქრ-

ობს, რომ „ლელოს“ პოლიტიკური კომპონენტი სჭირდება, რადგან ამ ეტაპზე ჯერ მხოლოდ სამოქალაქო მოძრაობის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, ხუბაშვილი აქვე დასძენს, რომ ეს ძალიან ნერვილმანია და ამ ეტაპისთვის არცთუ ისე მნიშვნელოვანი ხარვეზებია, რაც გამოსწორდება.

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მამუკა ხაზარაძე პოლიტიკაში ანაკლიის პროექტის განხორციელებისთვის მოედის, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც სესიაშვილმა აღნიშნა, სამხედრო, პოლიტიკური და საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, ანაკლიის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია.

„პრეზენტაციის დროს, მამუკა ხაზარაძემ ძალიან ბევრი ილაპარაკა ანაკლიის პროექტზე და მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მისი პოლიტიკაში მოსვლა, პირდაპირ პოლიტიკულად, პირდაპირ კავშირშია ანაკლიის პროექტთან, ანუ ის მოდის ანაკლიის პროექტის განხორციელებისთვის. თავისი ფორმით და შინაარსით - მე ეს დავინახე. მე ვპასუხობ, ანაკლიის პროექტი, ქვეყნისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეკონომიკურ ნაწილზე რომ არ გელაპარაკოთ, სამხედრო, პოლიტიკური და საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, ანაკლიის პროექტი არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე ვუბნები ხაზარაძეს, ქვეყანამ უკვე ასეულობით მილიონი დახარჯა ბიუჯეტიდან და შეასრულა თავისი ვალდებულებები - იყიდა მიწები, გზა გაიყვანა, ინფრასტრუქტურა განახორციელა, იმისათვის, რომ ამ კონსორციუმს ჰქონოდა მეტი საშუალება და ეჩვენებინა ინვესტირებისთვის მხარდაჭერა, რომ შემდგომ ამ პროექტის რეალიზება მოეხდინა“, - განაცხადა სესიაშვილმა.

NATO, მე-5 მუხლი და საქართველო

რას მოუტანს საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში (NATO) შესვლა მისივე წესდების მე-5 მუხლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუვრცელებლობის პირობით?

• განიხილავს თუ არა ნატოში შესვლის ამ ვერსიას საქართველოს ხელისუფლება და თუ კი, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამისთვის?

• ამ მექანიზმის ამუშავებამ რა გარანტიები შეიძლება მოუტანოს ქვეყანას?

• რამდენად აქვს საფუძველი იმ აზრს, რომ საქართველომ, შესაძლოა, სამუდამოდ დაკარგოს მე-5 მუხლს მიღმა დარჩენილი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი?

ეს კითხვები მას შემდეგ გააქტიურდა, რაც თბილისში, საერთაშორისო კონფერენციაზე სტუმრად მყოფმა ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რას-მუსენმა 10 სექტემბერს განაცხადა, რომ საქართველომ უნდა დაიწყოს დისკუსია ნატოში შესვლის თაობაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მე-5 მუხლის გავრცელების გარეშე.

რა ნერია NATO -ს ხელშეკრულების მე-5 მუხლი?

მე-5 მუხლი ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ქვაკუთხედად ითვლება და მისი მთავარი არის კოლექტიური თავდაცვა.

ეს მუხლი ამბობს, რომ ნატოს ერთ წევრზე თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას ნატოს წევრ ყველა ქვეყანაზე. თუმცა მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, ნატომ ეს მუხლი თავის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ გამოიყენა, 2001 წლის 11 სექტემბერს მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე მომხდარი ტერორისტული თავდასხმის საპასუხოდ.

მე-5 მუხლი 1949 წლიდან არსებობს. ამ წლის აპრილში, ვაშინგტონში, შეიკრიბნენ 12 ქვეყნის წარმომადგენლები და ხელი მოაწერეს ჩრდილო ატლანტიკურ ხელშეკრულებას.

ეს ქვეყნები იყო - ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ნორვეგია, დანია, ლუქსემბურგი, ისლანდია, იტალია და პორტუგალია.

სწორედ ამ ხელშეკრულების მთავარი მუხლი გახდა მე-5 მუხლი, რომელიც ასე იწყება:

„პარტიები თანხმდებიან, რომ შეიარაღებული თავდასხმა ალიანსის ერთ ან მეტ წევრზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში, განიხილება როგორც თავდასხმა ყველა მათგანზე“...

თუმცა, მეხუთე მუხლში ხაზგასმულია ისიც, რომ კოლექტიური თავდაცვის ზომები, მათ შორის, „სამხედრო ძალა“ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გამოიყენონ.

მე-5 მუხლი და საქართველო

მე-5 მუხლის საკითხი საჯაროდ აქტუალური საქართველოში გახდა ჯერ კიდევ გასულ წელს, 2018-ში, კვლევითი და ანალიტიკური

ცენტრის, „Heritage Foundation“-ის მიერ, მკვლევარ ლუკ კოფის ნარკვევის გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც ეწერა, რომ რადგან საქართველოს გაცხადებული აქვს ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად ძალის გამოყენების ლობა, აღარ არის საჭირო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ალიანსის წესდებით გათვალისწინებული მე-5 მუხლის გავრცელება.

მისი შემოთავაზება ასეთი იყო: საქართველო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში უნდა მიიღონ NATO-ში, მაგრამ მე-5 მუხლით გათვალისწინებული უსაფრთხოების გარანტია არ უნდა გავრცელდეს ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მანამ, სანამ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით არ მოგვარდება.

ეს საკითხი ერთი წლის შემდეგ ისევ წამოიწია თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის სახელწოდება იყო „Now What“, როდესაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ საქართველოსა და ალიანსში უნდა იმსჯელონ მექანიზმის შემუშავებაზე,

და ნატოს წევრი, რამაც საბოლოოდ გერმანიის გაერთიანებასაც შეუწყო ხელი.

მაშინ ნატოს წესდება არ ვრცელდებოდა აღმოსავლეთ გერმანიაზე. თუმცა, 1991 წელს, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ნატოს წესდება აღმოსავლეთ გერმანიაზეც გავრცელდა.

რატომ შიშვლავა ნატოს მე-5 მუხლი?

თუ საქართველო მისი საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის ფარგლებში, (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით) გახდება ნატოს წევრი, ალიანსს მოუწევს შეცვალოს წესდების მე-6 მუხლი (რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი ტერიტორიების დაცვას ითვალისწინებს მე-5 მუხლი), იმისთვის, რომ დროებით გამორიცხოს მე-5 მუხლით დაცვისგან რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონები. ეს ნიშნავს, რომ ნატოსგან თავდაცვის გარანტიას მიიღებს მხოლოდ დანარჩენი საქართველო.

რა აჩანს შიშვლავს, რომ საქართველო დაკარგავს აფხაზეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს?

რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ალიანსის წევრი გახდება, ნატოს წესდების მეხუთე მუხლი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გავრცელდება.

ოკუპირებული ტერიტორიები მე-5 მუხლს მიღმა

თუ საქართველო გახდება ნატოს წევრი იმ პირობით, რომ ალიანსის მე-5 მუხლი არ ამოქმედდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ეს:

- არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ალიანსის წევრი ხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე;
- ეს არ ნიშნავს ოკუპირებული ტერიტორიების დათმობას;
- ეს ნიშნავს იმას, რომ იარსებებს დათქმა, რომ ამ კონკრეტულ ტერიტორიებზე, დროებით, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებამდე ერთი კონკრეტული მუხლი არ გავრცელდება.

მსგავსი პრეცედენტი მოხდა 1955 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთ გერმანია) შემთხვევაში - ის სწორედ ასე გახ-

ოსეთს?

„არასწორი წარმოდგენა ნატოში საქართველოს გაერთიანებაზე“ - განმარტავს პოლიტოლოგი, „ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი“ კახა გოგოლაშვილი.

ნატოს წევრობა არ ნიშნავს სადაც შესვლას და კარის გამოხურვას. ამ შესვლის მიღმა დგას სწორედ კოლექტიური თავდაცვის სისტემა.

ნატოში ამ დათქმით შესვლის შემთხვევაში, ხელშეკრულებას აუცილებლად მოჰყვება დეკლარაცია, სადაც ეწერება, რომ ნატო აღიარებს:

- საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას;
- ყოველთვის მხარს დაუჭერს საქართველოს გაერთიანებას.

მაგრამ ამავე დროს ითქმება, რომ მე-5 მუხლი არ გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იქ საქართველოს ხელისუფლების კონტროლის აღდგენამდე.

რატომ სჭირდება ეს დათქმა ნატოს საქართველოს ალიანსში მისაღებად?

თუ ხელშეკრულებაში არ აღი-

ნიშნა, რომ კოლექტიური თავდაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაშინ მისი ხელმოწერისთანავე, ნატოს წევრი ქვეყნები აღმოჩნდებიან იმ ფაქტის წინაშე, რომ საქართველოს მიმართ ხორციელდება აგრესია, რაც მე-5 მუხლის თანახმად, ავტომატურად ნიშნავს, რომ ეს აგრესია ხორციელდება ნატოს წევრების მიმართაც და მათ ომი უნდა დაუწყონ რუსეთს.

ეს ნიშნავს, რომ ნატოსთვის აბსოლუტურად არ იქნება რაციონალური, ალიანსში მიიღოს ქვეყანა, რომელიც განეწვრიანების წამიდანვე მას ომის წინაშე აყენებს.

რუსეთიდან მოგვალე საფრთხე და გარანტიები საქართველოსთვის

რუსეთისთვის მიუღებელია ნებისმიერი ვერსია, თუ როგორ აღმოჩნდება საქართველო ნატოში, მაგრამ დღეს საქართველოს ამოცანაა, რომ ეს დასავლეთისთვის არ იყოს ეს მიუღებელი.

თუმცა, ამავე დროს, განმარტავს კახა გოგოლაშვილი, რუსეთს არ ექნება არანაირი კაზუს ბელი, ნატოში საქართველოში განეწვრიანების გამო, საქართველოს უეცრად ომი დაუწყოს.

რა გარანტიების იმედი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს?

გარანტია იმისა, რომ საქართველო დაცული იქნება ტერიტორიების მიტაცებისგან. მათ შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საზღვრის გადმოწევის ფაქტებისგან, რომელსაც დღეს საქართველოს ხელისუფლება ვერაფრით პასუხობს.

ჩრდილო-ატლანტიკულ პაქტთან მიერთების შემდეგ ეს ნატოს მხრიდან ცალსახა აგრესიად განიხილება.

რა აზრისაა საქართველოს ხელისუფლებას?

„ოფიციალურად ეს საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა“, - განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

„საინტერესოა და განხილვას იმსახურებს, კონსულტაციების გაგრძელება ამ საკითხზე ნამდვილად ღირს“, - განაცხადა უმრავლესობის წევრმა გია ვოსლკიმ, რომლის თქმითაც, ამ ინიციატივა შარშანაც იყო საუბარი.

„ჩვენთვის მისაღებია ის, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდეს სრული ტერიტორიების ფარგლებში. სპეკულაციები და კუდის მობმა ამ თემაზე არასწორი და ზედმეტია. ეს ქვეყნის ინტერესებს არ შეესაბამება“, - ასე გამოეხმაურა საკითხს პარლამენტის ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი და მანაც შენიშნა, რომ „ეს არ ყოფილა ოფიციალური შემოთავაზება ნატოს ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან, ამიტომ ამ საკითხზე ზედმეტი „ღელვა და ნერვიულობა“ არ ღირს.



როგორ უნდა იკვირებოდეს მოსწავლე?

მეოთხე გვერდიდან

საკვებიც უკეთ ერგება, თანაც მშობლების მიზანმიმართული სიამოვნებით მიირთმევენ ხილსა და ბოსტნეულს. ასე რომ, მიეცით ბავშვს მაგალითი და მიირთვით ჯანსაღი საკვები. ამით თუ კურდღელს დაიჭერთ. თუ თინეიჯერი თავს არიდებს ოჯახურ ტრაპეზს, ძალას ნუ დაატანთ, მაგრამ თუ სადილზე მეგობარს დაუპატიუებთ, შესაძლოა, თქვენი ურჩი მოზარდიც ხალისით ჩაერთოს ოჯახურ გასტრონომიულ რიტუალში.

. ეცადეთ, პატარა ერთსა და იმავე დროს ასაუზმოთ, ასადილოთ და ავახშმოთ.

. ჩართეთ ბავშვი კერძის შერჩევისა და მომზადების პროცესში. საკუთარი ნახელების ჭამა პატარებს ძალიან ეხალისებათ.

. ნუ დააძალებთ ბავშვს ჭამას. ნურც მის მოქრთამვას ეცდებით.

. ნუ სთხოვთ პატარას, ჭამით თავისი სიყვარული დაგიმტკიცოთ. ნურც იმას ეტყვი, რომ თუ შეჭამს, უფრო მეტად გეყვარება. სიყვარულის გამოსახატავად სხვა საშუალებებიც არსებობს!

საუბრე აუცილებელია

„უჭმელად სკოლაში წასვლა არ შეიძლება!“ — ეს ის ფრაზაა, რომელიც 11 წლის განმავლობაში ყოველ დღით გვესმოდა. თანამედროვე მოსწავლეებს უფრო დიდხანს — 12 წლის მანძილზე მოუწევთ ამ ფრაზის მოსმენა, მაგრამ ვეჭვობთ, ამან მაინც გამოიღოს შედეგი... როგორც ჩანს, საუბრის აუცილებლობას თავად მშობლებიც ვერ აცნობიერებენ, თორემ პატარა ონავრების დარწმუნება ასე არ გაუჭირდებოდათ. მეცნიერები, რომლებიც შეუსწავლეს არაფერს ტოვებენ, ჩაუღრმავდნენ საუბრის მნიშვნელობის საკითხს და ფრიად პოზიტიური დასკვნები გამოიტანეს:

. დილით მიღებული კალორიები შიმშილს კლავს და დღის განმავლობაში დანაყრების სამომრეობა აღარ იქმნება. მართლაც, ხომ შეიძლება დამშეულმა ბავშვმა ზომავზე მეტი საკვები აითვისოს, ეს კი არც კუჭ-ნაწლავს არგებს და არც ნივთიერებათა ცვლას.

. დილით მიღებული კალორიები ორგანიზმს ენერგიით მუხტავს. ბავშვი დღის განმავლობაში აცტიურია და მისი ინტელექტუალური შესაძლებლობებიც მნიშვნელოვნად იზრდება.

საუბრე, როგორც არ უნდა იყოს, სულ არაფერს ნამდვილად სჯობს, მაგრამ თუ კერძი მარგებელიც იქნება, ერთიორად უკეთესია. დიეტოლოგების, გასტროენტეროლოგების, პედიატრების და ამ საკითხს ჩაღრმავებული მეცნიერების აზრით, სასურველია, საუბრე მდიდარი იყოს ცილებითა და უჯრედისით და არ შეიცავდეს მარტივ შაქრებს.

არითმეტიკის გაკვეთილები

ძნელი სათქმელია, თანამედროვე გონების რა ასაკიდან იწყებენ ფიგურაზე ზრუნვას. ყოველ შემთხვევაში, მშობლებს არ უნდა გაუჭვირდეთ, თუ მათი მოზარდი ქალიშვილი საკვების ენერგეტიკული ღირებულებით დაინტერესდება და ერთ მშვენიერ დღეს ჰკითხავთ: „ეს კერძი ცხიმოვანია? რამდენ კალორიას შეიცავს?“

შეიცავს?“

სწორედ გასტრონომიული საკითხით შეფიქრანებული თინეიჯერებისთვის გთავაზობთ საკვების ცხიმოვანობის განსაზღვრისა და კალორიულობის გამოთვლის მარტივ ხერხს. მისი წყალობით არითმეტიკაშიც გაივარჯიშებენ გონებას, რომელსაც აზროვნებისთვის ცხიმი ნამდვილად სჭირდება.

თავდაპირველად შევთანხმდეთ, რომ სხვადასხვა პროდუქტი ცხიმს სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს. თუნდაც შეფუთვაზე „მსუბუქი“ ან „სამარხვო“, გიგანტ ან გიტე ენეროს, ეს იმას არ ნიშ-



ნავს, რომ პროდუქტი სრულიად არ შეიცავს ცხიმს. თქვენ წარმოიდგინეთ, შესაძლოა, მასში ცხიმი ჭარბადაც კი იყოს. თუ შეფუთვაზე მითითებულია, რომ ეს პროდუქტი 25%-ით ნაკლებ ცხიმს შეიცავს, ვიდრე მისი ცხიმი გაჯერებული ანალოგი, უთუოდ გაარკვიეთ, რამდენად ცხიმოვანია ეს უკანასკნელი. შესაძლოა, სხეზე უფრო ანალოგი იმდენად იყოს გაჯერებული ცხიმით, რომ 25%-ით „ლაითი“ არსებითად „ლაითი“ სულაც არ გამოვიდეს. ასე, მაგალითად: არაქისის კარაქის ორიგინალური (ცხიმოვანი) ვარიანტის განსაზღვრული ოდენობა თუ 17 გ ცხიმს შეიცავს, ნაკლებცხიმოვან სახეობაში ამ ოდენობა 12 გრამი იქნება, ეს კი, როგორც ხვდებით, ცოტა არ არის! ახლა კი დღის განმავლობაში მისაღები ცხიმის აუცილებელი ნორმა გამოთვალეთ. 4-დან 18 წლამდე ასაკში ადამიანმა დღის განმავლობაში მისაღები კალორიების 25-35% ცხიმოვანი უნდა აითვისოს. ცხიმის კალორიულობის პროცენტული მაჩვენებელი ასე გამოთვალეთ: შეფუთვაზე მითითებული ცხიმის ენერგეტიკული ღირებულება გაყავით პროდუქტის საერთო კალორიულობაზე და გაამრავლეთ 100-ზე. ასე, მაგალითად: თუ 300 კალორიის შემცველი პროდუქტი 60 კალორია ცხიმს შეიცავს, ფორმულა ასეთი იქნება: $60/300 \times 100 = 20\%$.

საკვების ენერგეტიკულ ღირებულებას მხოლოდ ცხიმი არ განსაზღვრავს — კალორიული ნახშირწყლებიც და ცილებიც, მაგრამ თუ ერთი გრამი შაქარი და პროტეინი 4-4 კალორიით გვამდიდრებს, ერთი გრამი ცხიმი 9 კალორიას გვძენს. მოდი, ნახევარი ჭიქა (120 მილი-

გრამი) ვანილის ნაყინის მაგალითი განვიხილოთ. მისი საერთო ენერგეტიკული ღირებულება 178 კალორიაა. ის 2 გრამ ცილას (შესაბამისად, $2 \times 4 = 8$ კალორია), 12 გრამ ცხიმს (108 კალორია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ცხიმის პროცენტული შემცველობა 60-ია) და 15,5 გ ნახშირწყალს (62 კალორია) შეიცავს. შეგვიძლია, ეს მონაცემები იმავე მოცულობის მოხარბულ სტაფილოს შევადაროთ. მისი ენერგეტიკული ღირებულება 36 კალორიაა. მასში ცილა ერთი გრამია (4 კალორია), ცხიმი — 0 გრამი (შესაბამისად, კალორიაც 0-ია), ნახშირწყლები

შეიძლება ითქვას ქართულ ცეკვაზეც, რომელიც არც სირთულით და არც ფიზიკური დატვირთვით სპორტის არც ერთ სახეობას არ ჩამოუვარდება.

. ნორჩი სპორტსმენის მენიუში ჩართეთ ჭარბად კალციუმი და რკინა. ეს მნიშვნელოვანი ელემენტები მოზარდებს ისედაც ხშირად აკლიათ, მით უმეტეს, ფიზიკური დატვირთვის დროს. რკინის ბალანსის შესავსებად შესთავაზეთ ბავშვს ხბოს მჭლე ან ინდაურის თეთრი ხორცი, კალციუმის მარაგი კი რძესა და რძის პროდუქტებშია.

. ნუ მოაკლებთ ბავშვს ვიტამინებს. ისინი უხვად არის ხილსა და ბოსტნეულში. თუ საჭიროა (ექიმი გირჩევთ), მიეცით ვიტამინების კომპლექსი.

. სპორტსმენს ცილები ნამდვილად სჭირდება, მაგრამ ნუ დაიჯერებთ, თითქოს კუნთოვან მასას ცილა ქმნიდეს. პანანინა მუსკულები მხოლოდ და მხოლოდ ადეკვატური ვარჯიშის შემდეგ წამოყოფენ თავს, ცილოვანი საკვებით მეტისმეტი გატაცება კი ჯანმრთელობას ნამდვილად არ არგებს. შესაძლოა, მოზარდს დეჰიდრატაცია (გაუწყლოება), კალციუმის დეფიციტი დაემართოს ან თირკმლის პრობლემები გაუჩნდეს.

ცილის საუკეთესო წყაროა: საქონლის მჭლე ხორცი, ფრინველის ხორცი, თევზი, კვერცხი, რძის პროდუქტები, თხილეული, სოია.

. ნახშირწყლები სპორტსმენისთვის ენერგიის წყაროა. საუკეთესო არჩევანია ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული (მათ შორის — რუხი ბრინჯი, შერია), დაღერილი ხორბლის პური. რაც შეეხება მარტივ მარცვებს, ძირითადად — ტკბილეულს, მართალია, ენერგიით ისინიც მუხტავენ ბავშვს, მაგრამ მაღივან აცლიან ძალას. ასე რომ, თუ შეჯიბრებაზე მცირე ხნით პატარა სპორტსმენი ტკბილეულით დაანაყრეთ, შესაძლოა, შეჯიბრების დასრულებამდე გამოიფიტოს და დაქანცოს.

. დატვირთვით ცხიმი, მაგრამ ხარისხიანი. უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეულ ზეთს. ამოიღეთ მენიუდან მსუქანი ხორცი და, საზოგადოდ, მოარიდეთ ბავშვი ცხოველურ ცხიმს.

გახსოვდეთ: უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საკვების შემადგენლობას, არამედ მიღების დროსაც.

. საკვები ბავშვს შეჯიბრებამდე ან ვარჯიშამდე, სულ მცირე, ორი (უმჯობესია ოთხი) საათით ადრე შესთავაზეთ. უპირატესობა მიანიჭეთ ცილოვან ნახშირწყლოვან კერძებს, მაგალითად, ინდაურისა და ქათმის ხორცს, ბულიონს, ბურღულის ფაფას, რძის ნაწარმს (იოგურტს, ყველს...).

. რომც არ შიოდეს, ვარჯიშამდე ორი საათით ადრე ნახემსება ბავშვს ნამდვილად არ აწყენს. საუკეთესო სასუსნავია ქლიავი, ნესვი, კენკრა, სტაფილო, უცხიმო იოგურტი და მანონი.

სასკოლო ასაკის მოზარდის კვება უნდა იყოს დამზოგველი, როგორც მომზადების კუთხით (ნაკლებად შეწვარ-მოხრაკულეობი), ასევე ქიმიური შემადგენლობითაც (სინთეტიკური საკვები დანამატების, მარილის, ნინაკის შეზღუდვა).

მომზადდა
ხათუნა ბანაშვილი

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის უმაღლესი სასწავლებლების მიერ აწარმოებული დამატებითი საგამოცდო საგნების ჩამონათვალი უკვე ცნობილია

გამოქვეყნდა იმ დამატებითი საგნების პირველადი ჩამონათვალი, რომლებიც უნდა ჩააბარონ აბიტურიენტებმა კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილის შემთხვევაში.

ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.naec.ge

უმაღლესი სასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ დეკემბრის ბოლომდე შეიტანონ ცვლილება აღნიშნულ ჩამონათვალიში. შეგახსენებთ, რომ განათლების კომპლექსური რეფორმის ფარგლებში 2020 წელს აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებს ახალი მოდელით ჩააბარებენ. გამოცდები ჩატარდება სამ სავალდებულო გამოცდაში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
 2. უცხოური ენა;
 3. მათემატიკა/ისტორია.
- მესამე გამოცდა დამოკიდებულია პროგრამებზე. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე აბიტურიენტები მათემატიკას, ჰუმანიტარულზე - ისტორიას, ხოლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დარგთაშორისი მიმართულებების არჩევისას ისტორიას ან მათემატიკას ჩააბარებენ.
- უმაღლესმა სასწავლებლებმა (რომლებსაც ამის სურვილი ჰქონდათ) უკვე განსაზღვრეს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სავარაუდო დამატებითი საგამოცდო საგნები შემდეგი ჩამონათვალიდან: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა, სახვითი


- და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება.
- სამედიცინო საგანმანათლებლო დანესე-პულბების ინიციატივის გათვალისწინებით, ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულო ოთხი გამოცდა იქნება:
1. ქართული ენა და ლიტერატურა;
 2. უცხოური ენა;
 3. ბიოლოგია;
 4. მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს). მეოთხე საგნისათვის გამოყოფილი იქნება კვოტირებული ადგილები, თითოეულ საგანზე არანაკლებ 30%-ისა.
- რაც შეეხება სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს, მათზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა სავალდებულოა შემოქმედებით ტურთან

ერთად ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა და უცხოური ენა.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტების ჩარიცხვა არსებული ფორმატით გაგრძელდება.

გრანტი სამი საგნის შედეგების მიხედვით გაიცემა. თუმცა, თუ უმაღლესი სასწავლებელი ითხოვს მეოთხე საგნის ჩაბარებასაც, აბიტურიენტს დაფინანსების მოპოვების კიდევ ერთი შესაძლებლობა ეძლევა.

აბიტურიენტების ინფორმირების მიზნით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი საინფორმაციო შეხვედრების გაართვას იწყებს. ღია კარის დღე 17 სექტემბერს, 16:00 საათზე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრში გაიმართება.



ჩვენს გარშემო, თაობათა მიხედვით, არიან ადამიანები, რომლებიც გამორჩეულ ავტორიტეტს იხვეჭენ, გამორჩევიან სხვებისგან და „კოლორიტებად“ იწოდებიან. მარტივი არ არის ამ ტიტულის მოპოვება. ამისთვის საზოგადოებამ უნდა აღიაროს შენი მრავალმხრივი ნიჭი: ოპორის, სხარტი აზროვნების, ქარიზმატულობის და სხვა. დღეს ერთ-ერთი ასეთი ადამიანი მინდა წარმოგიდგინოთ, რომელსაც ძველი თაობები კარგად იცნობენ. მას წელს 80 წელი შეუსრულდა, მაგრამ, უკაცრავად, მოხუცი არ გეგონოთ, ის დღესაც არის იგივე მხნე, იგივე პურადი და მოყვარული თავისი ერის. დიას, მე დღეს მინდა ვისაუბრო მარტინ კვანცელაძის და მის მიერ განვლილი რვა ათეული წელი გავაანალიზო.

წარმომავლობა
აი, ჩვენ პირისპირ ვსხედვართ და ვიდრე მე კითხვას დავსვამ, თავად მეკითხება: საიდან დაივინო? გამეღიმა, საიდანაც ადამიანის ცხოვრება იწყება-მშობლებიდან და დაბადებიდან-მეოთხე, ვასაუბრობ. ის თანამედევრულად და ქრონოლოგიური სიზუსტით იწყებს:

– მამაჩემი – ვანო კვაჭანტირაძე, გურული კაცი გახლდათ, რომელსაც საუბრის აქტუაში, ქიზიყში ხანგრძლივი ცხოვრების მოუხდევად, არ დაუკარგავს. ჩემი გურული წარმომავლობა შემდგომში ბევრჯერ წამადგა კარიერული სვლისას ზემოთ, მაღალ ინსტანციებში, გურულებმა ხომ ერთმანეთის გამორჩეული თანადგომა იციან! არიქა, ქიზიყელებმა არ დაგვიჩაგრონო და, სადაც კი გადავეყრებოდი მათ, სულ ხელს მიმართავდნენ. დედა – მანია ლეონიძისძვილი-კვაჭანტირაძე სიღნაღლი იყო. მათ ერთმანეთი სწორედ სიღნაღში გაიცნეს. მამა ცეკას მდივნის წარმომადგენელი იყო და მზადების დარგში, დედა კი საბავშვო ბაღის მასწავლებელი. მათ ოჯახი 1936 წელს შექმნეს. ჩემი ძმა ლერი 1937 წელს სიღნაღში დაიბადა. ლერი დღეს, 82 წლის ასაკში, ხელმძღვანელობს ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალის „პროსკოპის“ გამოშვებას. მისი და მისი ვაჟის – კახაბერის ავტორობით ახლახანს დაიბეჭდა წიგნი „ქართულ-ებრაული გვარ-სახელები“, სადაც მოცემულია რესპუბლიკის მასშტაბით არსებული გვარ-სახელების სტატისტიკური მონაცემები. ის საკმაოდ მხნედად არის და წარმატებით მუშაობს. დაგურუნდეთ წარსულს: მამინ სიღნაღი და ნითელწყარო ერთ რაიონად იყო გაერთიანებული. 1938 წელს, როცა ნითელწყარო სიღნაღს გამოეყო და ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა, მამაჩემი აქ დამზადების უფროს ინსპექტორად მოავლინეს და ოჯახიც აქ დაფუძნდა. ასე შეიქმნა ერთი გურულ-ქიზიყური ოჯახი, რომელმაც ორი ვაჟი გაუზარადა ქვეყანას. მე მუცლით მომიყვანა დედამ ნითელწყაროში და 1939 წლის 17 აპრილს აქ დავიბადე. მალევე მომნათელეს. უზომოდ მიყვარდა ჩემი ნათალი მამა ალადაშვილი, მამაჩემის პირველი მოადგილე, შემდგომში რაიონისთვის ერთ-ერთი საყვარელი მომღერალის მიძიკო ალადაშვილის მამა.

ბავშვობა და მოსწავლეობა
სამი წლის ვერ არ ვიყავი, მამა სამამულო ომში რომ წაიყვანეს. ორი წელი იბრძოდა და მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა. მე უკვე საბავშვო ბაღში დავდიოდი, რომელიც დიდბარეობდა სტალინის ქუჩაზე, დიმიტრი კიკელაშვილის მამისთვის ჩამორთმეულ სახლში. მერე ის რაიკომის თანამშრომელთა საცხოვრებლად გადაკეთდა და ბალი ქართული საშუალო სკოლის პირველ სართულზე განთავსდა ახლანდელი ბარათაშვილის ქუჩაზე. ეს კარგი გადაწყვეტილება იყო. ვფიქრობ, ბაღები და სკოლები ერთ სივრცეში როცა არიან, უფროს-უმ-

ცროსობას, ურთიერთბატვიცემას და მზრუნველობას სწავლობენ. ბალიდან სკოლაში იქვე შევედი. დიდი მადლობა ჩემს ინტელიგენტ მშობლებს, რომლებმაც ყველანაირად შეგვიწყეს ხელი მე და ჩემს ძმას, რომ კარგად აღზრდილი და განათლებული ადამიანებად ჩამოვყალიბებულიყავით, რაც მთავარია, შეგვავყვარეს წიგნი. ფრიადოსანი არ ვიყავი, მაგრამ წიგნის კითხვა ძალიან მიყვარდა. გაკვეთილებზეც კი უჩუმრ-უჩუმრა ვკითხულობდი, თუ მასწავლებელი შემამჩნევდა და წიგნს წამართმევდა ტირილამდე მივდიოდი. მეხუთე კლასში ვიყავ, როდესაც სკოლაში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად მოვიდნენ დავით გოგაშვილი და ეგრეზ ჯანყარაშვილი. მათი მოსვლით სპორტული აღმავლობა დაიწყო სკოლაში. ჩამოყალიბდა ფრენბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობის სექციები და თითქმის ყველა ბავშვი იყო ჩართული სპორტში, რაც ჩვენი ფიზიკური განვითარების და სულოერი სიმტკიცის საწინდარი იყო. დავით მასწავლებელმა მოსვლისთანავე შემამჩნია ჩემი ფიზიკური მონაცემების გამო და გამორჩეულად მომიკიდა ხელი. კალათბურთის და ფრენბურთის ვთამაშობდი ძირითადად. მეშვიდეკლასელი ვიყავი, არამედ მოზრდილებში ვთამაშობდი, ხოლო მეათე კლასიდან – რაიონის ნაკრებში ვირიცხებოდი. თერთმეტი კლასი რომ დავამთავრე, უკვე პირველთანრიგის ვიყავი. შემდეგ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ეგიდით საქართველოს ნაკრებში 2 წელი ვთამაშობდი. სამხედრო-სავალდებულო სამსახური ბელორუსიაში მოვიხადე და იქაც დივიზიის ნაკრებში ვირიცხებოდი. ჯერ კიდევ მოსწავლეობისას „ლეტნიკის“ პიონერთა ბანაკში ფიზკულტურის მასწავლებლობა მანდეს და ხელფასი დამინიშნეს. ბედნიერი ვიყავი, ერთხანს მწვრთნელის პოზიციაზეც კი მოვირეე. ასე რომ, სპორტმა ჩემი ბავშვობის, მოსწავლეობის და სიჭაბუკის პერიოდის საუკეთესო მოგონებები დამიტოვა. და არა მხოლოდ სპორტმა, სკოლის და შემდგომ რაიონის თვითშემოქმედებით საქმიანობაშიც ძალიან აქტიური ვიყავი: სკოლის და რაიონის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში სოლისტად ვითვლებოდი. მრავალი მადლობა და საპატიო სიგელი მაქვს მიღებული მხატვრული თვითშემოქმედებით ოლიმპიადებზე აქტიური და წარმატებული მონაწილეობისათვის.

განათლება და შრომითი საქმიანობა
მამაჩემი უნდოდა, ეკონომისტი გამოვსულიყავი და ოცნებობდა, რაიკომის თავჯდომარის პოსტი დამეკავებინა. მე მანქანათმშენებლობა მაინტერესებდა და ჩემი გაეიტანე, ჩავაბარე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე, მაგრამ ქულა დამაკლდა და ვერ ჩავირიცხე. ამასობაში სავალდებულო სამხედრო სამსახურმაც მომიხია. ბელორუსიაში გავატარე 3 წელი. რუსული ენა კარგად ვიცოდი, ამიტომ იქ მოსამზადებელ კურსებზე შევედი და ჯარიდან დაბრუნებულმა კვლავ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მივაბრუნე. მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსრულებელ განყოფილებაზე ჩავირიცხე. ჩემი შრომითი ნათლობა საქართველოს ავტოფარეხში მექანიკოსობით დანიშნა. რამდენიმე წელი რუსეთის საფლუსე მალაროთა სამმართველოს ნითელწყაროს განყოფილებაში ტრანსპორტის უფროსად გადამიყვანეს. შემდეგ იყო ტრესტ „ალაზამშენის“ №3 სამშენებლო სამმართველოში მთავარი მექანიკოსის და წარმოების გამგის პოზიცია. მე ამავე ორგანიზაციის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე გახლდით და სიტუაციიდან გამომდინარე, საანგარიშო მოხსენებით წარდგომა მომიხია. კრებას პარტიის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივანი თენგიზ გოქსაძე და ცეკას წარმომადგენელი ესწრებოდნენ. მოხსენება მალად დონეზე შეაფასეს და რადგან სწორედ იმ დროს საქოფლტექნიკის სამმართველოს ხელმძღვანელის ადგილი ვაკანტური იყო, მმართველის თანამდებობა შემომთავაზეს. ეს იყო უზარმაზარი ორგანიზაცია, რომელიც თერთმეტ სხვადასხვა დარგს და მიმართულებას აერთიანებდა. ექვსი წელი ვიმუშავე. შემდეგ სწორედ დარგების მიხედვით დამიშალა და თითოეული ცალკე ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. მე საქოფლტექნიკის სამმართველოში გავადვიდი. რამდენიმე წელში მეფრინველობის საბჭოთა მეურნეობაში (შამს რომ ვეძახდით) გენერალურ დირექტორად გადამიყვანეს. აქ სამი გან-

ყოფილება ერთიანდებოდა: ნითელწყაროს, მირზანის და შირაქის. ორი წლის შემდეგ მელორობის მშენებარე კომპლექსი ჩამაბარეს და როცა მშენებლობა დასრულდა, ლორიც შემოვიყვანეთ და წელგამართული მუშაობა გახდა შესაძლებელი, მალევე ცხოვრების ახალმა სიომ დაქროლა. ხშირად ითიებოდა ელექტროენერგია, კომბინირებული საკვების ღირებულებამ ძალიან მოიმატა, კომპლექსი ბავუი კვებისათვის იყო გათვალისწინებული, საძოვარი არ ჰქონდა, საქმე უკან და უკან მიდიოდა, ზარალს ზარალი ემატებოდა. უმრავლესი ორგანიზაციები ლიკვიდაციის გზას დაადგნენ. ვერც მე ვხედავდი საქმის გამოსწორების პერსპექტივას. კანონმდებლობა უკვე იძლეოდა კერძო საკუთრების შექმნის საშუალებას და მეც შევისყიდე კომპლექსი, ლიკვიდაცია გავეუკეთე და იმ თანხით მაღაზიების ქსელი გავაკეთე. ჯერ „თეთრი დუქანი“ გავხსენი, შემდეგ სხვები და ახლა მათი გაქირავული შემოსავალით ვცხოვრობ, თორემ მტერი იყოს პენსიის შემყურე. ასაკიან, პენსიონერ ადამიანს 200 ლარი როგორ შეიძლება რომ ეყოს?! ნამალი (რომელსაც ცეცხლი უკიდია) გინდა, საქმელი ხომ ყოველდღიურად ძვირდება, თან უზარისხოს და ათასი ჯურის წარმომავლობისას ნამი-ნუთს „გვანონებენ“ რეკლამებით.

– თქვენი აზრით რა შეცდომები დაუშვა კომუნისტურმა წყობამ და რა გვჭირს, რომ ვეღარ გავიმართოთ წელიწადი?

– ორი უკიდურესობა: – კომუნისტები მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას (სკნობდნენ და ახლა თითქმის ყველაფერი კერძო საკუთრებაა. ეს ორი ფორმა საკუთრებისა უნდა ავსებდეს და აბალანსებდეს ერთმანეთს. კოლმეურნეობების დამლაშ ხალხის დიდი მასა უმუშევარი და ხელცარიელი დატოვა. თითო შექტარი მიწა მისცეს და იცხოვრეთო, ეს ხომ აბსურდია. არათანაბრად გადაწაწილდა საერთო ქონება, ზოგი გამდიდრდა, ზოგიც გაღატაკდა. სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდი ძირგამომთრეული კორუფცია და უდიცობლიობაა. სწორედ ამ ორმა სენმა თანდათანობით დარია ხელი სტალინის გარდაცვალების შემდეგ სოციალიზმს: „თეზე თავეიან იხრნენბაო“, ნათქვამია; და ასეც იყო. არ მინდა ისე გამოვივიდეს „კიტრის ქურდი იანვარში დააკვებისო“, მაგრამ ჩემი ცხოვრების მანძილზე სულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვიმუშავე. როგორ შემეფარა კორუფცია და ფესვები როგორ გაიღდა ჩემს თვალში და ჩემს თავზე გამოვცადე. ვინ გავაჩერებდა თანამდებობაზე „წილს“ თუ არ მისცემდნენ პარტიას, სამართალდამცვეებს, ზემდგომებს. უპარტიოდ არ დაგანინაურებდნენ, პარტიაში შესვლა 3.000 მანეთზე ნაკლები არ ღირდა. ყველაფერს, რასაც ხარისხი ჰქონდა და თვალის მოვლებოდა, მანქანებიდან და ავეჯიდან დაწყებული წიგნებითა და „ჩექმებით“ დამთავრებული, რაიკომში ნაწილდებოდა. მართალია, ხალხი დღევანდელით უზოგარი არ იყო, ყველას ჰქონდა მეტ-ნაკლები შემოსავალი და დანაზოგი, მაგრამ ღირებულის ვერაფერს ვერ ყიდულობდა. ყველაფერი დახლის ქვემოდან „პატივცემულ“ პირებზე იყიდებოდა. ხალხში გულისტყენამ, აგრესიამ იმატა და თანასწორობის სურვილი გაღვივდა. ამიტომ იყო, რომ ერთი დაძახება საკმარისი აღმოჩნდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩასაბმელად. სხვა თემმა, ვინ როგორ გაიგო თავისუფლება და დემოკრატია და რა გჭირს დღეს: უმუშევრობა სიღარიბე გამოიწვია, სიღარიბემ აგრესია და ნიპოლიზმი, ოჯახის დედების მსოფლიოში მოშველევად მიმობნევა ოჯახის ინსტიტუტის დასუსტება, უდღეობამ მრავალი მანკიერების გამოვლენა მოზარდებში, ფულით მოსყიდული არასამთავრობო თუ სხვა ორგანიზაციების ავტაციათა გზა გაუხსნა უზნეობას, ადამიანის უფლებათა დაცვის ნიღბს ქვეშ ალორძინდა ისეთი მდორეკილებები და ქმედებები, რაც ჩვენს ეროვნულობას, ზნეობას, ტრადიციებს ჩრდილს აყენებს და გადაგვარებისკენ მიჰყავს. რომელი ერთი გითხრათ, ეს ამოუწურავი თემია, რომელზეც საათობით კი არა, მთელი დღეების განმავლობაში შეიძლება ისაუბრო. ყველაზე მტკივნეული კი ის არის, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთში ისეა აღიზთულ-დალიზთული, გამოგება ძნელია, საიდან უნდა დაიწყო, იმ წვერის პოვნა თითქმის შეუძლებელია. ქვეყანა ერთმანეთისადმი მურმა, ღვარძლმა, უსიყვარულობამ შექაბა. იმდღავა არაპროფესიონალიზმმა, უპასუხისმგებლობამ, გაათიოკაცებამ და უსაფუძვლო ამბიციებმა. ამ ყველაფერის მიუხედავად, ერთი საწუკარი ოცნება მაქვს: მართალია, ახალგაზრდა აღარ ვარ, მა-

გრამ, არ მინდა ისე მოვკვდე, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო არ ვნახო დაბრუნებული.
– **ღმერთმა გისმინოთ. თქვენ ქართულ ტრადიციებს გაუსვით ხაზი და არ მინდა ჩვენი საუბარი ისე დავამთავრო, რომ არ შევეხო თქვენს ერთ-ერთ გამორჩეულ უნარს – თქვენ ითვლებით გამორჩეულ თამადად რაიონში. 2018 წელს რესპუბლიკური მასშტაბით ჩატარებულ გამოკითხვაში თქვენ, სხვა ცნობილ სახელებთან ერთად, გამარჯვებით ნომინაციაში „საუკეთესო თამადა“ მინდა მითხრათ თქვენი აზრი თამადის ინსტიტუტთან დაკავშირებით, როგორც ტრადიციისა და ქართული სუფრის ერთ-ერთ მახასიათებლებთან მიმართებაში. რა ფენომენია თამადა და რა სჭირდება ადამიანს, რომ მოიხვეჭოს კარგი თამადის სახელი?**

– დავიწყეთ იქიდან, რომ თამადა სუფრაზე ქართული ტრადიციაა, რომელიც არ უნდა მოიშალოს. ეს სხვა ერებისაგან გამოგვარევის, მამა-პაპიდან მოგვდეს და არ უნდა დავიწყოთ. ადვილი არ არის, კარგი თამადის სახელი მოიპოვო: თამადა უნდა იყოს განათლებული, ეროვნობით, უნდა ჰქონდეს სიტყვათა მარაგი ამოუწურავი, ენამახვილი, შეძლოს ცეკვა-სიმღერა, საინტერესო ამბების, ისტორიული ფაქტების, სხარტულების გადმოცემა, მსახიობური ნიჭით, ძლიერი ხმით და დეკლარაციის უნარით უნდა იყოს დაჯილდოებული. სუფრას შემოქმედებითად, სიტუაციის შესაბამისად უნდა ნაუძღვეს, დახეპირებული სადღეგრძელოებით ფონს ვერ გავა. მე მადლობელი ვარ ამ ნომინაციაში რომ დამასახელებს და დამაჯილდოვებს. უამრავი სუფრის თამადა ვყოფილვარ და ერთიდაიგივე სადღეგრძელო ერთხანად არასოდეს მითქვამს. ჩემი პირველი თამადად დიდი, საქონიწილი სუფრაზე შედგა ერთი კარგი ხალხის სპირიტო და მარინა კიკელაშვილების ვაჟის-ვაჟას ქორწილში, მერე რეზო ჯანაშვილის ქორწილში ვითამადე, მერე მიჰყვა და მიჰყვა. მთავალი არ აქვს, იმდენი სუფრისთვის სითამადაა. ადრე სულ ლხინის სუფრებზე მინედა თამადა, რაც ასაკში შევედი, ჭირის სუფრასაც ვუძღვებოდი ხოლმე. რადგან სიტუაციის და სიკვიდილის ფაზი ახლა უკეთ მესმის.

– როგორია თქვენი ერთი დღე?

– თითქმის ყოველდღე მივდივარ ჩემს დაჩაზე „მაზოკაში“. იქ ვიკრიბებით ჩემი ძველი მეგობრები. ვსაუბრობთ ამ მთისას და იმ მთისას, კომუნისტების დროს აკრძალული აზარტული თამაშებით ვიქცევთ თავს-წარდი, კარტი, დომინო, შამი, ხანდახან ჭადრაკი და... გადის დრო. თუ სახლში ვარ ტელევიზორს ვუყურებ, პრესას ვეცნობი, წიგნებს ვკითხულობ. ადამიანმა თავად უნდა გაიმხნევოს თავი, არ მოეშვას, ცხოვრება ყველა ასაკში საინტერესოა, მთავარია, შენ როგორ შეხედავ მას. სულ ახალგაზრდა ვერ იქნები, მაგრამ უნდა იბრძოლო, მხნედ რომ იყო. არ უნდა იფიქრო ასაკზე, ციფრებზე.

ეს ბატონი მარტენის (ცარიელი სიტყვები როდია, ის ნამდვილად ცხოვრობს ამ პრინციპებით და ამიტომაც გამოიყურება ძალიან კარგად, მესხიერება ზუსტი და აზროვნება ლოგიკური, ხალისიანი, ენერგიული და კვლავ ხელგამწლი მასპინძელი თავისი ოქმორითა და სიტყვაკაზმულობით.

ოჯახს კვლავ დედაბოძად უდგას მისი მეუღლე ფეკრია ალიკოშვილი, რომელთან ერთადაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა. დედოფლისწყაროში დაიბადა ფეკრია, ოქროს მედალზე დაამთავრა ქართული სკოლა, მიიღო მედიკინა-ტექნოლოგიის სპეციალობა და 30 წელი ნითელწყაროს ლიხის ქარხანაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოზიციაზე მუშაობდა. ორი შვილი გაზარდეს – მაია და ზვიადი. ორივე დაოჯახებულია. მაია თბილისში ცხოვრობს და ერთ-ერთი კერძო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა, ზვიადი – „სერვისი-2007“-ის თანამშრომელი. შესანიშნავი რძალი და სიძე ჰყავთ. რძალი – ნონა პოპიაშვილი დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დანეგებით სწავლების წარმატებული პედაგოგი, სიძე – მაღნახ ლომიძე მინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში მუშაობს. მხოლოდ ერთ რამეზე სწყდება გული პაპა-ბებია – ორი შვილიდან მხოლოდ ორი შვილიშვილი ჰყავთ: დავით კვაჭანტირაძე და ლევან ლომიძე. დავითმა სულ ახლახანს მოიყვანა ცოლი – მშვენიერი მარი ტუსაშვილი. ოჯახის უფროსებს ახლა ერთი ნატვრა აქვთ მხოლოდ: შვილთაშვილებმა ააურიაბულონ მათი კარ-მიდამო, გამრავლდნენ და გაიზარდნენ.
ჩვენც ნატვრის ახდენა, ჯანმრთელობა და ბედნიერება ვუსურვით მათ.

ნაირა გორაშვილი.

საუკუნის ძარცვა

„არ მკითხოთ როგორ ვიპოვე პირველი მილიონი, დანარჩენზე თავად მოგიყვებით, ყველა სუფთად მაქვს ნაშრონი“, ასე უპასუხა ამერიკელმა მილიარდერმა ჯონ როკფელერმა ჟურნალისტს. საეჭვოა, ქართველ ბანკირებსა თუ ბიზნესმენებს რომელიმე მილიონის წარმომავლობით დაინტერესება ესაძვირებოთ, იმ კონტრეტულ ვაჭურისხმობით, რომლებსაც ჯაბა იოსელიანის, შესაბამისად ედუარდ შევარდნაძის „დანიშნულ“ ბანკურ ბიზნესმენებზე მოიხსენიებს სრულიად სამართლიანად საზოგადოება. ახლა ზოგიერთ მათგანს, როგორც იტყვიან ხოლმე, უკედნე ფეხი რომ დაადგეს, თავიანი „პატიოსნებას“ და „უმნიშვნელო“ წარსულზე აჭიკრიდნენ. თავის დროზე დაბრუნდა პოლიტიკის დიქციონარში, ეკონომიკის ვიკი განხილვის რამდენიმე ინტერვიუ, სადაც იგი საუბრობდა 90-იან წლებში საბჭოთა დონეზე განხორციელებულ იმ ფინანსურ-ეკონომიკურ მაქინაციებზე, რამაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა გააღატაკა, მათ ხარვეზი კი განრღმობდა „კასტა“, რომლებიც გამდიდრების წყაროდ, საკუთარ „განსაკუთრებულ“ კომერციულ „ნიჭს“ ასახელებენ. ვფიქრობთ, ინტერესობა უნდა იქნება გავისხენით ამბავი „დანიშნულთა“ მიერ მილიარდების თუ არა, მილიონების შოვნის მარცხ. ჩვენი რესპოდენტი იმ პერიოდში შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამართლებრივ მოქმედებად, ასე რომ, კარგად იყო ინფორმირებული, თუნდაც ოპერატიულ დონეზე, რა ვაი-უმშულოები ტრიალებდა ჩვენს ქვეყანაში.

1993 წლის დასაწყისში საქართველოში ხუთი მსხვილი სახელმწიფო კომერციული ბანკი მოქმედებდა, „საქბინსოცბანკი“, „აგრობანკი“, „ექსიმბანკი“, „ინდუსტრიბანკი“ და „ახალი ქართული ბანკი“ (იგივე „შემნახველი ბანკი“), რომლებიც საქართველოს საბანკო აქტივების დაახლოებით 80%-ს ფლობდნენ. საქართველოში მორბუნებულ შევარდნაძეს ხელისუფლების გასაძლიერებლად საბანკო რეგოლაცია მჭიდროდ ჰქონდა, ამიტომ მან 1994 წლის 13 იანვარს საბანკო „გადატრიალება“ მოახსოვ, ფინანსურ „მხვერვალებზე“ მხოლოდ ერთი ადამიანი, მისი უახლოესი ნათესავი ვლადიმერ პატეიშვილი დატოვა. ამ უკანასკნელმა უბრალოდ სამუშაო ადგილი შეიცვალა და „შემნახველი“ ბანკის ნაცვლად „საქბინსოცბანკის“ ხელმძღვანელად დაინიშნა. მოგვიანებით ედო-ბაბუს ნათესავს გეგენავა-სილაგაძესთან ერთად, ძალზე საეჭვო ფინანსებით „საქართველოს ბანკი“ დაუარსებია. სილაგაძე მეცნიერი, ცნობილი პროფესორი ბრძანებულია, ის იყო „ტივინი“ ამ სამუშაოში. პატეიშვილი ხელისუფლებას წარმოადგენდა, მესამე ხეობი არჩილ გეგენავა გახლავთ, შემდგომში ნაციონალიზმით ფრიად დაახლოებული და მთანმინის მპრობიტარი დე-პუტატი. იმ პერიოდში არჩილ გეგენავა ბევრს არაფერს წარმოადგენდა, სავარაუდოდ, ვერის საძმოს წევრი იყო, ხოლო მისი ძმა ანდრო გეგენავა „შავი სამყაროს“ წარმომადგენელი. საიდან მოდიოდა ფინანსები, რომლის ადრე-სატიც ეს „სამეუღლე“ გახლდათ, რესპოდენტი დაზუსტებით ვერ ამბობდა. სახელმწიფო მეთაურის სტატუსში მყოფი შევარდნაძე, ოფიციალური ვიზიტით თურქეთში გაემგზავრა, მას თან ახლდა ეროვნული ბანკის მამინდელი ხელმძღვანელი ნოდარ ჯავახიშვილი, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია კი ვიკი-პრემიერმა ავთანდილ მარგიაანს თურქულ წყნად გაუმართავს სამთავრობო სხდომა, საიდუმლოდ დაინერა დადგენილების პროექტი და ბატონმა მარგიაანმა ახალი ბანკი დაინიშნა, რომელთაც არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობა ჰქონდა და არც საბანკო სფეროში

ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება. ეს განსაკუთრებით ვანო ჩხარტიშვილსა და ანდრო დევდარიანს ეხებოდათ. სამაგიეროდ, ხუთივე ახალდანიშნულს კომპაგნირობა-პარტიული გამოცდილება და რაც მთავარია, შევარდნაძისადმი ერთგულების მაღალი ხარისხი აერთიანებდათ. ანდრო დევდარიანს საბანკო სფეროში საერთოდ არ ჰქონდა არანაირი გამოცდილება, გარდა ერთისა, დემურ დვალისხელის ეროვნული პრეზიდენტობის დროს, ამ ბანკიდან უამრავი კრედიტი ჰქონდა გატანილი. დევდარიანი კი ამბობდა, ამ თანხებით საქართველოში მაქარი და კარაქი შემომქონდაო, თუმცა მავანთა მტკიცებით, ესეც გასარკვევი იყო.

სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციის დაწყებისთანავე ამკარა იყო, რომ ამ ობიექტების დიდ ნაწილს მათი ხელმძღვანელები შეისყიდნენ. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სახელმწიფოს მეთაურ შევარდნაძესაც, რომელმაც ახალი ბანკების და-ნიშნით, ფაქტობრივად წინასწარ განსაზღვრა, ვინ იქნებოდა მოგებული ბანკების პრივატიზაციის დროს. ისე, ბატონმა ვუძებურ პატიამელიძემ ზუსტად შეაფასა ეს მასობრივი პრივატიზაციის პროცესი, როცა მას პრისვაცი-ზაცია უწოდა. ხუთი თვის შემდეგ, „ექსიმბანკის“ მმართველად შევარდნაძის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ზაზა სიორიძე დაინიშნა. ზაზა სიორიძეს კომპაგნირობი წარსულის გარდა, გერმანიამ დაცული ხარისხიც გამოადგა, ხოლო ანდრო დევდარიანს, მეუღლის მიაა კვეზერელის ნათელი შევარდნაძესთან მეგობრობა. როგორც აღვნიშნეთ, საბანკო ბაზარზე მონაპოლის მქონე ხსენებული ხუთ ბანკის ხელმძღვანელებს მეგობრობის გარდა, ერთმანეთის ბანკებში ქონებრივი ინტერესიც ჰქონიათ, მეწილეები ყოფილან. სწორედ ამიტომ, მათ თავისუფლად დაიწყეს არა მარტო კურსებით თამაში, არამედ ნებისმიერი ფასიანი ქალაქის ფასის განსაზღვრა ისეთ პატიარა ბაზარზე, როგორც საქართველო იყო. რაც შეეხება ბანკების პრივატიზაციას, ეს პროცესი 1994 წლიდან დაიწყო, რის პარალელურად შევარდნაძემაც არ დააყოვნა ზემოხსენებული პერსონების „დასაწყურება“ დაიწყო. კერძოდ, „ექსიმბანკის“ ერთი მილიონი აშშ დოლარი, რომელიც მენაბრეებს ჰქონდათ შეტანილი, სახელმწიფომ შიდა ვალად აღიარა, იგივე ბედის წინააღმდეგ ბანკში „შემნახველი ბანკი“ მენაბრეების მიერ შეტანილ ფულსაც. კომუნისტების მმართველობისას ქართველ მენაბრეებს 13 მილიონ დოლარი ჰქონდათ ბანკებში, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მანეთის გაუფასურებამ შეუქცევდა პროცესი იყო, თან დაქარბულ რეჟიმში, რისი ინიციატივაც რუსეთიდან მოდიოდა, კომუნისტური პარტიისა და სუკის „ელიტის“ მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური დარტყმა მიეყენებინათ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისთვის. ქართველი მენაბრეების თანხა კი იყო 13 მილიონი აშშ დოლარი, მაგრამ ხელოვნურად გამოწვეული ჰიპერინფლაციის შედეგად, ისინი უკვე გაკოტრდნენ და ფაქტობრივად, ბედის ანაბარა დარჩნენ. ამას მასობრივი საკრედიტო ემისიაც დაერთო, მარტო 1992 წლის დეკემბერში საქართველოს წარმოებისთვის ახალი კრედიტის სახით გაცემულმა თანხამ 30-40 მილიონ რუბლს მიაღწია, ეს მაშინ, როცა იმავე წლის ნოემბრის დამლევს დაუფარავი კრედიტების თანხამ 100 მილიონ რუბლზე მეტი შეადგინაო. სანარმოთა ხელმძღვანელობის თურმე გამოქვეყნდა კრედიტები და მათზე მყარ ვალუტის ყიდულობდნენ, არავის აინტერესებდა რაიმე ეკონომიკური საქმიანობის წარმოება, სავარაუდოდ, ამ კრედიტების მხოლოდ 7-8% თუ ნასულა დანიშნულებისაა.

1994 წელს, ოფიციალური

ვერსიით, ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა დემურ დვალისხელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში თავი მოიკლა. იგი ამ თანამდებობას 1992 წლის ნოემბრიდან 1993 წლის ოქტომბრამდე იკავებდა. 1993 წლის 1 აპრილამდე საქართველო სამანეთო, ანუ რუბლის ზონაში შედიოდა, აქედან გამომდინარე დვალისხელის ფულის ემისიის უფლება არ ჰქონია. 1993 წლის 3 აპრილიდან ეროვნული კუპონი შემოვიდა ბრუნვაში, რომელსაც სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღებამდე, მთელი დატვირთვა დაანვა. კუპონის შემოღების შემდეგ, კუპონის არსებულ ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, გაუმართლებელი ფულად-საკრედიტო მდგომარეობა დაერთო, რამაც კუპონის კატასტროფული დევალაცია გამოიწვია. კუპონიც საფრანგეთში დაბეჭდილა, თვითმფრინავი კუპონების პარტიით გამოთენისას ჩამოფრინდა საფრანგეთიდან, დაახლოებით 8-9 საათზე კი უკვე იყიდებოდა ეს ფული მეტროებთან, ე.ი. ბანკიდან მოხდა ე.წ. შავ ბაზარზე. რესპოდენტის განცხადებით, კუპონის დევალაციის პროცესის მიმართ ეროვნული ბანკი უძლეური იყო, რადგან სავალუტო მარაგი არ გააჩნდა. 1992 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, თუ ვთქვით, ბანკში შეტანილი გეგნდათ 10.000 რუბლი, 15.000 რუბლი გახდებოდა, მალე მეორე კანონიც მიიღეს, ყოველი შეტანილი რუბლი ორმაგდებოდა. იმ პერიოდში სწორედ ამიტომ შექონდა ხალხს მასიურად ბანკებში ფული, რაც შემდგომ ისევ ინფლაციამ შექამა. იმდროინდელი კურსით საქართველოს მოსახლეობას რვა მილიონი აშშ დოლარი ჰქონდა ბანკებში შეტანილი, ბოლო ინფორმაციით 1,6 მილიონი დოლარად დარჩა, თუმცა ეს ფული შევარდნაძის ზემოხსენებულ „კომპოზიციებს“ მოუთხოვნიდა. ხალხს „კავკასიის ბირჟაზე“ ტომრებით მიჰქონდა კუპონები და რუსულ რუბლზე ცვლიდა, ბუნებრივია, ამ ყველაფერს გამოიმდინარე ბანკები ფულში „იხრჩობოდნენ“, ხოლო მოსახლეობა „იმედინად“ შეჰყურებდა მომავალს. მხოლოდ ერთ დღეს ქართულმა „გამა-ბანკმა“ ათი მილიონი რუბლი „გააკეთა“, რასაც არნახულ „აფიორად“ მიიჩნევდნენ პროფესიონალები. უშინების სამინისტრომ „კავკასიის ბირჟის“ პრეზიდენტი და მისი ვაჟი 2004 წლის 19 ივლისს დააკავა, თუმცა არავინ იცის რატომ დააკავეს ან რა შედეგი მოყვა ამ ამბავსო. ეს ყოფილა გასაადრეველი „ოპერაცია“ ასევე საიდუმლო შედეგით.

იმ პერიოდში სოკოებოვით მრავლდებოდნენ კერძო ბანკები თუ საინვესტიციო ორგანიზაციები, რომლებიც კოლოსალურ დივიდენდებს სთავაზობდნენ მენაბრეებს, თუმცა მოკლე ხანში თავს გაკოტრებულად აცხადებდნენ და ხალხის ფულიანად უკვალოდ ქრებოდნენ. რესპოდენტის განცხადებით, როცა კერძო ბანკების „კაპიტალიზაციის“ „ოქროსი სანძის“ და სხვათა გაკოტრებაზე ვსაუბრობთ, ერთად ერთი ის უნდა გიკითხოთ, რატომ მოკლეს ვენაში შევარდნაძის პირადი წარმომადგენელი ევროპაში დავით სანიკიძე? ამ საქმეში სანიკიძის გარდა, თურმე ასევე ფიგურირებდა საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ვინმე ჩიხლაძე და ცნობილი ე.წ. კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი. ამ ე.წ. ტრიუმფირატს თვალს რომ გადაავლებ, ყველაფერი ნათელი ხდება და სალაპარაკოც ალბათ აღარაფერი. მაშინდელი ოპერატიული ინფორმაციების თანახმად, ბანკების გაკოტრების საქმეში აქტიურად ყოფილა ჩართული ხელისუფლება, ხალხისთვის მოპარული ფული საზღვარგარეთ გაიტანეს, „ექსპორტირებულ“ თანხად 15 მილიონი აშშ დოლარი სახელდებოდა, თუმცა დავით გავნიძემ მიიჩნევდა, რომ თანხა გაცილებით მეტი

შევარდნაძის მიერ მონეობილი საბანკო პუტჩი, რომელმაც საქართველოს მოსახლეობა მთლიანად გააკოტრა და გააღატაკა

იყო. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის წარმომადგენლებმა ერთი კვირით ადრე ვიკიდით, ფულის „ექსპორტირების“ დაწყების შესახებ, რომელიც უნდა განხილულიყო, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით ტარიელ ონიანი, ანუ „შავი სამყარო“ მოტყუეს, რასაც დავით სანიკიძის მკვლელობა მოყვა. სხვათა შორის, ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ისრაელის უშიშროების სამსახურის და ამერიკის დაზვერვის ფედერალური სამსახურის წარმომადგენლებიც დაკითხა ავსტრიის პოლიციაში. ეს პროცესები მართლაც გავს ბანდითიზმს, რაც რესპოდენტის აზრით, მთელი „კულტურა“, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფო კანონების და სამოქალაქო პასუხისმგებლობის უარყოფაზე. ამ შემთხვევაში ამას ჰალსტუხიანი, საკმაოდ განათლებული „მამულიშვილები“ აკეთებდნენ თავიანთი მოსკოველი „მეგობრის“ დაკვეთით. ცალკე 2003-2012 წლები, რომელსაც რესპოდენტი საქართველოს „შავი პერიოდს“ უწოდებს, იგი მიიჩნევს, რომ კავებზე რახან თვითონ რომ ვერ შეძლო ქართველების გატენვა, მათ აშშ-ის დახმარებითა და ევროპის ნაყრებზე, ნაციონალურების სახით „შავი ჭირი“ მოუვლინა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების სათავეში ორჯერ მოვიდა ნაძირალები, პირველად მათი „ატამანი“ ე.წ. კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი იყო, ხოლო მეორედ გაუმძღვარი „დედიკოს ბიჭი“ მიმა სააკაშვილი, მათ შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ პირველი ხალხის წინააღმდეგ თავის „ბარტყებს“ ავტომატებით დაარბენებდა, მეორე კი ლოზუნგებითა და მათ მიერვე მიღებული უსამართლო კანონებით. კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, რომელიც უშუალოდ ფინანსებს უკავშირდება და პირნინად ახერხებს ქვეყანას, ეს არის „შავი“ ფულის გარეცხვა. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, მარტო შევარდნაძის მმართველობის პერიოდში (1992-2003 წლები), საქართველოში 200 მილიონი აშშ დოლარი გათეთრდა, არანაკლები იქნებოდა ნაცხელისუფლების პერიოდშიც, თურმე ამიტომ იხსენიოდა უამრავი კაზინო, რაც ფულის გათეთრების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ყოფილა. ბუნებრივია, ამ დროს ბონუსებიც რჩებოდა, რაც სავარაუდოდ 5-10%-ს შეადგენდა. სწორედ უკანონო და ალურისცხვამ ფულის მასამ ნალეკა საქართველო, გაანადგურა მისი ეკონომიკა, ძირითადად კი მისი მასაზრდობელი სოფლის მეურნეობა. ქვეყანაში დღესაც ყოფილა დაღვრილი ფულის დიდი მასა, ოღონდ ის ცალკეული პიროვნებების, ვინაო წრის ხელშია. ზედმეტად გამოსული კუპონიერის დიდი ნილი, თურმე იგი ხალხის ხელში იყრის თავს, რომელმაც თავის დროზე უკანონოდ დააგროვა ეს ფული, რაც ანგრევს ქვეყანას, მათ ქველმოქმედება რომ გასწიონ, ასე არ მოხდება. შევარდნაძის მმართველობის შსს-ს ერთ-ერთ დანაყოფს ოპერატიული ინფორმაცია მიუღია, რომ შევარდნაძეს ამერიკელებმა შესთავაზეს, რომ 300 პიროვნება ექციათ მსხვილ ბიზნესმენად და ძირითადად, მათ ხელში მოექციათ საქართველოში არსებული ფული მასა. მერე ისინი ქველმოქმედებას განსვენენ, ეკონომიკას განათავსებენ და მოსახლეობა ფეხზე დადგებო. შევარდნაძემ დაუფერა ამერიკელებს, მისცა ამ ხალხს ქონება პრივატიზაციის

ეგიდით, ბანკებისა და სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების სახით, მაგრამ მათ ყველაფერი სახლში წაიღესო. რესპოდენტმა კატეგორიულად გამოიკცა შევარდნაძის მიერ დასაწყობებული სიდიდან ბიძინა ივანიშვილი და ბადრი პატარკაციშვილი. იმ ხალხის განუვლი ქველმოქმედება თუ გინახავთ, ვისაც შევარდნაძემ ქონება უფიქსა, თუნდაც ბანკები, ვეფლისხმობ, ვანო ჩხარტიშვილს, ზაზა სიორიძეს, მამუკა ხაზარაძეს, ახვლედიანებს (შევარდნაძის მძახალი), ან თვითონ ედუარდ შევარდნაძის ქველმოქმედება თუ გხმენიათო. მამუკა ხაზარაძის „ქველმოქმედება“ კი შევიტყვეთ, მაგრამ მისი ადრესატები ძირითადად ის მულაბნელები (რომლებიც საკუთარ თავებს პოეტებად, მწერლებად და ა.შ. მოიხსენიებენ) და მათთან გათანაბრებულნი გახლავან. როგორც აღვნიშნეთ, დემურ დვალისხელის ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის დროს მავანთ უზარმაზარი კრედიტები გაჰქონდათ, რაც დანიშნულებისამებრ არ გახარჯულა, შედეგად მივიღეთ ქართველი მდიდართა კასტა, ხოლო დვალისხელმა თუ მოარულ ხმებს დაუფერებთ, თავი კი არ მოიკლა, მოკლეს. ამ კრედიტების გაცემის საქმეში არაფერი შუაში იყო დვალისხელის, მას გაცილებით მაღალი თანამდებობის პირები ავალდებდნენ და ბუნებრივია, უარს ვერ ეტყოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში თანამდებობაზე არავინ გააჩერებდა. ბატონი დემური ამ კრედიტებთან დაკავშირებით (ვინ და რატომ გაიტანა), შსს-ს შენობაში დაინარეს დასაკითხად. როგორც მაშინ სამინისტროში ამბობდნენ, იგი ჯერ მოწმედ უნდა დაეკითხათ, მერე ეჭვმიტანილად ცნობასა და დაჭერას უპირებდნენ. საიდან აღმოჩნდა დვალისხელის ცეცხლსასროლი იარაღი, როცა გამოიკცხული იყო შსს-ს შენობაში იარაღის შეტანა, მითუმეტეს ბატონი დემური პატიოსანი კაცი იყო და ის არ გარისკავდა იარაღის შეტანას. მამ როგორ მოიკლა თავი? რესპოდენტი ეჭვობდა, რომ შეიძლება ფსიქოლოგიური ზენოლის შედეგად, იძულებული გახადეს და სულაც თვითონ მისცეს იარაღი. „სხვა რა დასკვნა უნდა გამოიტანო, მაშინ შსს-ს აპარატში ვემუშაობთ, შეიძლება იმ შენობაში დვალისხელის მკვლელობა თვითმკვლელობის ამბავი ვერც გაგვეგო, უბრალოდ კაბინეტის კარი ღია იყო და სროლის ხმა გავიგეთ. მერე ისიც ითქვა, რომ თითქოს მან დერეფანში მოიკლა თავი, რაც ძალიან მეჭვებო. ბატონი დემური თურმე კაბინეტშიც არ იყო შესული, ანუ დაკითხული არ იყო და ვინ დაუშვებდა, რომ თავი მანამდე მოეკლა. ერთი სიტყვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები ვრცელდებოდა, მოგვიანებით პრესაში სულ სხვა ვერსიები დაიბეჭდა, თითქოს დვალისხელი დამნაშავე იყო. სპეციალურად ავრცელებდნენ ხმებს, ამ უდანაშაულო ადამიანზე უნდოდათ ფიხის გადატეხვა. სხვათა შორის, ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების ლიდერობისაც ჰქონდა გატანილი დიდი ოდენობით კრედიტები, საუბრობდნენ 102 მილიონ თუ მილიონ კუპონზე, რომელიც გაცილებითანავე თურმე დოლარებზე გადაახურდებოდა. ამის შემდეგ დაიხყო ჰიპერინფლაციური პროცესები, ამ „პატიოსანმა“ მსესხებელმა ვალი კი დააბრუნა, რაც რეალურად დაახლოებით 200 აშშ დოლარს უტოლდებოდა, აცხადებდა რესპოდენტი.

მანანა სუსნიშვილი (საერთო გაზეთი)

მუხრან ბიკაშვილი და ზურა გონაშვილი ოჯახებით იუნეციბან საუკეთესო მეგობრის მიორბი (ბალონი) ნატროშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

საქართველოში პირველად ყურძნის საკრეფი კომბაინი შემოიტანეს



საქართველოში პირველად, ყურძნის საკრეფი კომბაინი კახეთში, სოფელ კონდოლში, "თელავის ღვინის მარნის" კუთვნილ ვენახებში გამოჩნდა. კომბაინი მხოლოდ მარცვალს იღებს და მოსავლის აღება დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეუძლია.

კომპანიის დირექტორის ზურაბ რამაზაშვილის თქმით, რთველის დროს კახეთში მუშა-ხელის დეფიციტია და მოსავლის აღება უჭირდათ, რის გამოც კომპანიის ყიდვა გადაწყვიტეს. ყურძნის საკრეფი კომბაინი საფრანგეთშია წარმოებული. "თელავის ღვინის მარნმა" კომბაინი წელს შეიძინა.

ნიკა ჩიტყვილი VS პავან გუგუა



დასრულდა უშუს საერთაშორისო ტურნირი ქ.ბათუმში, სადაც მონაწილეობდა 13 ქვეყნის სპორტსმენები, დედოფლისწყაროს უშუს გუნდი წარმოდგენილი იყო 6 სპორტსმენით და შედეგები ასეთია: 4 პირველი და 2 მეორე ადგილი.

ჩემპიონები გახდნენ: ნიკა ჩიტყვილი, ლუკა პოპიაშვილი, გივი ბორჩიაშვილი, ბიორგი ნიკლაური.

მეორე ადგილი დაიკავეს: პავან გუგუა და ნიკოლოზ ხარაზიშვილი.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გვერდში დგომისთვის სპორტის ცენტრის დირექტორს ბატონ აკაკი ნატროშვილს. ასევე დიდი მადლობა უშუს ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ გიორგი ვერულაძეს, სპორტსმენების გვერდში დგომისთვის და შეჯიბრის საუკეთესო ორგანიზებისთვის.

ძალიან სანახაობრივი ბრძოლები გამოვიდა გივი გოჩიტაშვილის და ნიკა ჩიტყვილის, გივი უკრაინელი და ბორჯომელი სპორტსმენების აშკარა უპირატესობით დამარცხების შემდეგ ფინალში საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა

უკრაინის და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენი ანდრეი ბერეზიუკი და ჩემპიონის ტიტულს ლირსეულად დაეუფლა, ნიკა ჩიტყვილს კი ბრძოლა ინდოელ საკმაოდ გამოცდილ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან მოუწინა, პავან გუგუა არის ინდოეთის ჩემპიონი, ბავშვებში მსოფლიო ჩემპიონი, დიდებში აზიის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, პან ამერიკას ვერცხლის პრიზიორი, ჰონგ-კონგის თასის მფლობელი და სხვადასხვა ტიტულების მატარებელი მაგრამ დიდებში ახლახანს გადასული ნიკა ჩიტყვილიც არანაკლები ოფიციალური ტიტულების მატარებელია, ევრაზიის თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონი, მოსკოვის უშუს ვარსკვლავის გამარჯვებული, საქართველოს 7 გზის ჩემპიონი და მრავალი სხვა. ნიკამ შეძლო ამ ინდოელი "მონსტრის" დამარცხება და თავის ტიტულებს კიდევ ერთი საერთაშორისო ჩემპიონის ტიტული შემატა.

ბიორგი ცინკარაული, დედოფლისწყაროს გუნდის მწვრთნელი

ყურადღება!

20 სექტემბერს თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯი“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ჩატარებს უფასო გამოკვლევებს. თვალის სხვადასხვა პათოლოგიის მქონე პაციენტებს კლინიკის წამყვანი ოფთალმოლოგი ნიკა მამასახლისი მოემსახურება. პაციენტთა მიღება იწარმოებს 13 საათიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №44

საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ორგანიზებით ტარდება.



იყიდება!

საძინებელი გარნიტური (სპალნა) 7 ნაჭერი. შეღავათიან ფასად.

☎ 557 317679.

იყიდება საჯარო რეესტრის მალა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხმოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ☎ 591092478

ულოცავენ!

სოფელ სორნაგუჯის საჯარო სკოლის დირექტორს ბატონ **ვაჟა ყავრალიშვილს** და პედაგოგიურ კოლექტივს!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ მოსწავლეთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას; საინტერესო შემოქმედებითი ნლებების გატარებას, თქვენთვის და ჩვენთვისაც საყვარელ სკოლაში. მადლობა იმ წუთებისთვის, რომელიც თქვენ გვაჩუქეთ წამოსვლისას.

თქვენი პენსიონარები.

ყურადღება!

სსიპ კოლეჯი „ნიკი“ დედოფლისწყაროს ვილიაჯი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

აპლიკანტთა საშემოდგომო მიღებას 2019-2020 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროგრამებზე:

1. თმისა და სილამაზის მომსახურება - (მესამე დონე)
2. თექის ოსტატი - (მესამე დონე)
3. ელექტრობა - (მესამე დონე)

ჩარიცხვა ხდება ტესტირების საფუძველზე კონკურსის წესით.

სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. 2 ცალი ფოტო სურათი (ზომით 3/4)
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განათლების მოწმობის ასლი დამონებულ ნოტარიულად
4. განცხადება (ადგილზე შევსებით) საბუთების მიღება დაიწყო!

ი რ ძ ა რ ე თ ი !

დანვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:

ქ.დედოფლისწყარო, სოფ. სამრეკლო (სოფ.ჯავარძი)

☎ 577 557 159
☎ 577 962 967

ამინდი		დედოფლისწყარო		სურამი		საბურთალო		თბილისი		სამცხე-ჯავახეთი	
ორშაბათი 16.09	სამშაბათი 17.09	ორშაბათი 18.09	სურამი 19.09	საბურთალო 20.09	სამცხე-ჯავახეთი 21.09	სამცხე-ჯავახეთი 22.09	სამცხე-ჯავახეთი 23.09	სამცხე-ჯავახეთი 24.09	სამცხე-ჯავახეთი 25.09	სამცხე-ჯავახეთი 26.09	სამცხე-ჯავახეთი 27.09
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
☁	☁	☀	☾	☀	☾	☀	☾	☀	☾	☀	☾
19°	16°	19°	18°	21°	19°	23°	22°	24°	20°	22°	20°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაგაშვილი (ეურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიკა ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფილიალის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ეკოლოგ პრესის“ სტამბაში.

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.